საწვრთნელი მატჩი

გაგრა. 27 მარტი. (ტელეფონით). აქ შედგა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და თბილისის დინამოელები.

მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა. თბილისელებმა კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს იგი - 2:0 (ბურთები გაიტანეს ღოღობერიძემ და კურტანიძემ).

შესვენების შემდეგ კიეველებმა გაქვითეს ერთი ბურთი და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის "დინამოს" სასარგებლოდ. გუნდი ამ დღეს თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, სიჭინავა; ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი (გრამატიკოპულო), ბარქაია, კურტანიძე, ღოღობერიძე, მესხი.

"ლელო", 29 მარტი, 1960 წ.